საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

# ავტომანქანების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების (მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით) შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

2014 წელი

## სარჩევი


1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება ---------- 3 გვ.
2. ანგარიშსწორების პირობები ---------- 3 გვ.
3. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის ---------- 3 გვ.
4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები ---------- 4 გვ.
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 5 გვ.
6. დანართი №1 ---------- 9 გვ.
7. დანართი №3 ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვის შესახებ ---------- 10 გვ.

## 1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსე რიცხული 11 (თერთმეტი) ავტომობილის და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების (მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით) შეკეთების მომსახურების გაწევა.

1.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 05 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოთხოვნის შესაბამისად.

1.3 აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს **ქ. თბილისში**, პრეტენდენტის საწარმოო ფართზე.

1.4 ტექნიკური შესაძლებლობები - საწაარმოო ფართი აღჭურვილი უნდა იყოს მინიმუმ **შვიდი ავტოამწით,** ავტომობილის მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, მომსახურება დაიწყოს დაუყოვნებლივ და დაასრულოს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადებში შესაბამისი ავტოსათადარიგო ნაწილის არ ქონის ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა იქნეს მხარეთა შორის განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მიმწოდებლის მიერ შეცვლილ ან/და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით.

1.5 პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები განსაფასებელი ცხრილების (პრეისკურანტების) ჩამონათვალში მოცემულ სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ყველა სახეობაზე. პრეისკურანტში განუფასებელი ან ნულით განფასებული სათადარიგო ნაწილები და მომსახურება შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ამ სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ღირებულება დაიფარება სხვა სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ხარჯზე.

1.6 განსაფასებელ ცხრილებში მითითებული მომსახურების ფასები უნდა იყოს საბოლოო და საჭიროების შემთხვევაში მოიცავდეს კონკრეტული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურების ღირებულებასაც, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

1.7 ავტომობილების მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა, აგრეთვე, მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები.

1.8 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ განფასების ცხრილში არ არის საჭირო მომსახურება ან/და სათადარიგო ნაწილი, ასეთი სათადარიგო ნაწილის ან/და მომსახურების ფასი დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

1.9 ავტომობილები:

- HONDA CRV (ძრავი 2.0, ბენზინი) - გამოშვების წელი 2000;
- HYUNDAI VERACRUZ (ძრავი 3.0 დიზელი) - გამოშვების წელი 2008;
- HYUNDAI GETZ (ძრავი 1.4 ბენზინი) - გამოშვების წელი 2009;
- KIA CERATO (ძრავი 1.6 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- SKODA OCTAVIA (ძრავი 1.8 ტურბო ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- KIA CERATO (ძრავი 1.6 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- KIA SPORTAGE (ძრავი 2.4 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- TOYOTA CAMRY (ძრავი 2.4 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- TOYOTA CAMRY (ძრავი 3.5 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- RENAULT LOGAN (ძრავი 1.4 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;
- TOYOTA LAND CRUISER PRADO (ძრავი 2.7 ბენზინი) - გამოშვების წელი 2010;

## 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

## 3. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

3.1 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ" ან „ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

3.4 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

3.5 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

3.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.7 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ქ თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა, ოთახი №401. საკონტაქტო პირი ზ. ოქრომჭედლიძე. ტელ.: 2-235-149. 595-57-27-40.

## 4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები

4.1 რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით.

4.2 ფასების ცხრილი დანართი №2–ის შესაბამისად.

4.3 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ავტომანქანების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების მომსახურების გამოცდილება, ამასთან პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს ინფორმაცია 2013-2014 წლების განმავლობაში ავტომანქანების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების მომსახურების თაობაზე (ატვირთული უნდა იყოს ავტომანქანების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მიღება-ჩაბარების აქტები, ან/და ორმხრივად დადასტურებული სხვა დოკუმენტაცია საიდანაც დადასტურდება ავტომანქანების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების მომსახურება), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარზე ნაკლები.

4.4 ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვის შესახებ - დანართი #3 შესაბამისად

**შენიშვნა:**

**ა)** სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი #2–ში მოცემული განფასების ცხრილების (პრეისკურანტების) ჯამური ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს განცხადებაში მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა;

**ბ)** ტენდერში ვაჭრობა გაიმართება განფასების ცხრილების ჯამურ სავარაუდო ღირებულებაზე;

**დ)** შემოთავაზებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს დანართი #2 მითითებულ თითოეული სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების მაქსიმალურ ღირებულებას.

**გ)** ავტომობილის და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების (მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით) და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდება: **40 000 (ორმოციათასი) ლარზე**

**დ)** პრეისკურანტის თანხა შეადგენს **474 388 (ოთხასსამოცდათოთხმეტიათას სამასოთხმოცდარვა) ლარს.**

**პროექტი**

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № _____

**<u>წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.</u>**

ქ. თბილისი "___" _____" 2015წ.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო** (მის:ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი N9, ტელ.: 2-235-149, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. NGE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22, სკ-204861916), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის ---------- სახით და _____ (მისამართი: _____, ტელეფონი: _____, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№_____ სს _____, კოდი _____, სკ-_____) **შ**ემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**ავტოტექმომსახურების გაწევა.**

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: _____ ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია**:

ა) მომსახურების გაწევა განხორციელდება 2015 წლის ---------- 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს _____.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების დროს და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **2 (ორი)** დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

5.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

## 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2 საქონლის მიღებას აწარმოებს _____.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| **შემსყიდველი** | **მიმწედებელი** |
|---|---|
| _____ | _____ |

- რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკი კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

--- ---

(პრეტენდერტის დასახელება,) (ხელმოწერა)

--- ---

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი ბ.ა.)

ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვის შესახებ

- **ავტო ამწის რაოდენობა (არანაკლებ შვიდი ერთეულისა)** ----------
- **საწარმოო (სადაც განხორციელდება ავტომობილის ტექნიკური მომსახურება) ფართის ფაქტიური მისამართი** ----------
- **დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში)** ----------

--- ---

(პრეტენდერტის დასახელება,) (ხელმოწერა)

--- ---

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი ბ.ა.)